

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს
პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის
კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის

სიმონ ჩხაიძეს

შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს			<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს			<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს			<input checked="" type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20	
წერის უნარი	18	20	
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	
პროფესიული თვისებები, შათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	
პროფესიული აქტივობები	5	5	
ქულათა ჯამი	92	100	

სახელი, გვარი: ლაურ ლუკონიკვა

ა- 2024

თარიღი: 29. 04. 2024 წ.

თამარ ღვამიჩავა - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - სიმონ ჩხაიძის შეფასება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა სიმონ ჩხაიძე.

საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^ე-ე მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვებულ ინფორმაციას კანდიდატის შესახებ გავუცანი დეტალურად.

ორგანული კანონის 34^ე-ე მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 24 აპრილს, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

ორგანული კანონის 34^ე-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შეფასდა - კანონის 35^ე მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი გახლავთ 50 წლის. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, სტუ). სპეციალობით მუშაობს 28 წელია, მათ შორის - მოსამართლედ დაახლოებით 18 წელზე მეტია. კერძოდ:

- 1996-1999 წლებში იყო მასწავლებელი ბათუმის სოციალურ-პოლიტიკურ ინსტიტუტში, ასევე - მასწავლებელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში;
- 1998 წელს იყო შპს „დამოუკიდებელი რეგისტრატორი რეესტრ-ცენტრის“ იურისტი;
- 1998-2000 წლებში იყო სს „ინდუსტრია-ინვესტის“ იურისტი;
- 1999-2000 წლებში იყო შპს „იურიდიულ-საგადასახადო კონსალტინგის“ დირექტორი, ხოლო 2000-2004 წლებში - იმავე საწარმოს თხილისის ფილიალის დირექტორი;
- 2004-2006 წლებში იყო სპს „ალაფიშვილი, ყავლაშვილი და ჩხაიძე – GLG იურიდიული ოფისის“ მმართველი პარტნიორი;

- 2004 წელს იყო აჭარის ა/რ უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი;
- 2005-2006 წლებში - „თავისუფლების ინსტიტუტი“ რეგიონალური ომბუდსმენი.

მოსამართლედ განწესდა 2006 წლის 20 თებერვალს და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა:

- 2006-2019 წლებში - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში; ის მოსამართლის თანამდებობაზე
- 2019 წლის 22 ნოემბრიდან დღემდე - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

კანდიდატის შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით. იყო რეპუბლიკური პოლიტიკური პარტიის წევრი/ მხარდამჭერი 1991-2006 წლებში.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. უმრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატს რაიმე სახის პასუხისმგებლობა არ დაკისრებია. სასამართლოში კანდიდატი მხარედ მონაწილეობდა 2 სამოქალაქო საქმეში. ის არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატს საქმის განხილვის საპროცესო უადები დაცული აქვს საქმეთა 93.5% შემთხვევაში; ასევე - საქმეთა 93.1% შემთხვევაში აქვს დაცული გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები; მის მიერ გაძოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 90.7% შემთხვევაში.

კანდიდატის წარმოადგინა მისი ავტორობით/თანაავტორობით შექმნილი სამართლებრივი ნაშრომები: „სხვა ობიექტური გარემოება“, როგორც შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი - „მართლმსაჯულება და კანონი“ N4 (56)17; „სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში“ - სახელმძღვანელო - თანაავტორი; „ნოტარიუსის უფლებამოსილების ფარგლები სააღსრულებო ფურცლის გაცემისას“; „უსაფუძვლო გამდიდრების სამართალურთიერთობის სუბსიდიური ხასიათი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში“ - „მართლმსაჯულება და კანონი“ - N2 (78)23.

კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს შემდეგი სამართლებრივი ნაშრომები: „დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში - მირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი“ – „მართლმსაჯულება და კანონი“ (N:4(35)12; „მოვალეთა და კრედიტორთა სიმრავლე ვალდებულებაში“ – „მართლმსაჯულება და კანონი“ (N:1(28)11; ზიანის ცნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში (მოვლე ანალიზი) – „მართლმსაჯულება და კანონი“ – N2 (41)14.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული შემდეგ სასწავლო ღონისძიებაში:

- 14-18 თებერვალი, 2023წ: ევროკომისიისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) მიერ ჰელის კონვენციების იმპლემენტაციის საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივად ორგანიზებული ონლაინ ტრენინგი;
- 28-30 ივნისი, 2023 წ: სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა;
- 27 იანვარი, 2020 წ: ზავშის უფლებათა კოდექსი, სამუშაო შეხვედრა.

კანდიდატს 2005 წელს ჩატარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ:

- 2014-2019 წლებში: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი – მოწვეული სპეციალისტი;
- 2020-2022 წლებში: თბილისის ღია უნივერსიტეტი – მოწვეული სპეციალისტი.
- 2022 წლიდან დღემდე - საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი - მოწვეული სპეციალისტი.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატის საჯარო მოსმენის ამსახველი ვიდეოჩანაწერისელმისაწვდომია შესაბამის ლინკზე - <https://www.youtube.com/watch?v=dOHBI87jqts>. საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს როგორც სამართლებრივი შეკითხვები სამართლის სხვადასხვა დარგიდან, ასევე ზოგადი ხასიათის შეკითხვები.

საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის პასუხები ძირითადად იყო თანმიმდევრული და დასაბუთებული; ხარვეზული იყო გარკვეულ სამართლებრივ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ დაფიქსირებული პასუხები. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილი საჩივრის დასაშვებობის პირობებთან დაკავშირებით; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-17 და მე-18 მუხლებით გათვალისწინებული აკრძალვებული დაკავშირებით.

კანდიდატის შეფასება კუთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ჩანს, რომ იყი ფინანსურ და სხვა მოქალაქეობრივ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები (მომრაობის წესების დარღვევების თაობაზე არ უფისირდება. კანდიდატს აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა, იმიჯი. იყი გამოირჩევა პრინციპულობით, მედეგობით, სამართლიანობით, მიუკერძოებელობით, გააჩნია ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთივის წესებს, კორექტული და თავდაჭრილია.

საჯარო მოსმენის შედეგად არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვება დააყენებდა კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდის. შესაბამისად, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ 5-ვე მახასიათებელს: ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“, ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“, გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა“, დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“ და ე) „ფინანსური ვალდებულება“ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

1. კანდიდატის საჯარო მოსმენის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმულ სამართლებრივ შეკითხვებზე პასუხები იყო თანმიმდევრული, დასაბუთებული და ეფუძნებოდა სწორ სამართლებრივ შეფასებებს.

კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და ასევე მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, კარგად იცნობს კანონმდებლობას, როგორც მატერიალურ ასევე პროცესუალურ ნორმებს, ადამიანის უფლებების სამართლას, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალას, უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკას.

შესაბამისად ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლის მიხედვით, კანდიდატი შეფასდა 18 ქულით.

2. კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისათვის ვიხელმძღვანელე როგორც მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებით, ასევე საჯარო მოსმენისას წარმოჩენილი ცოდნით.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. დასაბუთებისას, მოსამართლე ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას,

უსადაგებს კანონის შესაბამის ნორმას და უზრუნველყოფს სამართლიანი გადაწყვეტილების უნარის.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა კარგი ანალიტიკური აზროვნების, საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარი. ის, ძირითადად, დამაჯერებლად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას აზრთა სხვადასხვაობისა თუ თანხვედრობის შემთხვევაში. კანდიდატი თავისუფლად მსჯელობდა სამართლებრივ საკითხებზე. გარკვეულ სმართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით, კანდიდატი ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული განმარტებით) სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 17 ქულით.

3. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად ვასკვნი, რომ მას გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობის უნარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანდიდატი ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული განმარტებით) წერის უნარის მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 18 ქულით.

4. საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, ის გამართულად შეტყველებს. დასმულ საკითხთან დაკავშირებით აზრს გადმოსცემს დამაჯერებლად, ნათლად და გასაგებად. საუბრისას ურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან გარემოებებზე. ასევე შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა. აღნიშნულიდან გამომდინარე კანდიდატი ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული განმარტებით) ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 15 ქულით.

5. კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დაგასკვნა, რომ კანდიდატი არის მიზანდასახული, მრომისმოყვარე პიროვნება. აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, არის კორექტული, თავდაჭერილი, სასამართლო სხდომას უძღვება სათანადოდ, კანდიდატს აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა, იმიჯი, არის პრიციპული, მედეგი, გააჩნია ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს. შესაბამისად კანდიდატი ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული განმარტებით) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 14 ქულით.

6. კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შემენის ინტერესი. მოპოვებული ინფორმაციით, კანდიდატს პროფესიული წვრთნის კუთხით არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, რაც მიზნად ისახავს კვალიფიკაციის ამაღლებას და ცოდნის გაღრმავებას. შესაბამისად კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული განმარტებით) აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 5 ქულით.

7. კანდიდატი ახორციელებს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, ასევე, ზშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ შეხვედრებსა და სემინარებში. შესაბამისად ორგანული კანონი 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) პროფესიული აქტივობის მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 5 ქულით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ- სიმონ ჩხაიძის კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ჯამური შეფასება შეადგენს 92 ქულას.

1. სამართლის წორმების ცოდნა - 18 ქულა
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის - 17 ქულა
3. წერის უნარი - 18 ქულა
4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა
5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - 14 ქულა
6. აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის - 5 ქულა
7. პროფესიული აქტივობა - 5 ქულა

ქულათა ჯამი 92 ქულა

თარიღი: 29.04.2024 წ.

ხელმოწერა: გ. .

